

### შეთანხმება

საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ

საქართველო და საბერძნეთის რესპუბლიკა (შემდგომში წოდებულნი „მხარეებად“),

მიზნად ისახავენ რა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას და სურთ რა გააძლიერონ ურთიერთდახმარება სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში ეფექტური თანამშრომლობის საშუალებათა დანერგვის გზით,

გადაწყვიტეს დადონ წინამდებარე შეთანხმება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ შემდეგზე:

#### თავი I

#### ზოგადი დებულებანი მუხლი 1

1. თითოეული მხარის მოქალაქეები სარგებლობენ მეორე მხარის მოქალაქეებთან მსგავსი უფლებებით სამართლებრივ სფეროებთან დაკავშირებით. როგორც ამავე ქვეყნის მოქალაქეები. ამ მიზნით მათ თავისუფლად შეუძლიათ მიმართონ მეორე მხარის სასამართლოს, მართლმსაჯულების სხვა ორგანოებს და უწყისებებს მათ წინაშე ისეთივე პირობებით, როგორც ამ მხარის მოქალაქეები.  
2. შეთანხმების დებულებები გამოიყენება, აგრეთვე იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც შექმნილია მათი ადგილსამყოფელი მხარის კანონმდებლობის მიხედვით.

#### მუხლი 2

არავითარი საგარანტიო გადასახადი ან გადარიცხვის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს არც ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც წარდგებიან მეორე მხარის სასამართლო ორგანოების წინაშე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი არ წარმოადგენენ აღნიშნული მეორე მხარის მოქალაქეებს ან არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აღნიშნული მხარის ტერიტორიაზე.

#### მუხლი 3

ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი დებულებებით რეგულირებულ საკითხებზე, ორი მხარის სასამართლო ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან უშუალოდ თავიანთი იუსტიციის სამინისტროების მეშვეობით. დიპლომატიკა

არნები, ამასთან, არ გამოირიცხება.

აუცილებლობის შემთხვევაში მხარეთა სასამართლო ორგანოები დამოუკიდებლად უკავშირდებიან ერთმანეთს და ამის შესახებ იმაგდროულად აცნობებენ თავიანთ იუსტიციის სამინისტროებს.

#### მუხლი 4

სასამართლო დადგენილება მეორე ქვეყანაში მოწმის დაკითხვის თაობაზე, ისევე, როგორც სხვა მასთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა შედგეს მომთხოვნი მხარის ენაზე და თან დაერთოს დამოწმებული თარგმანები მიმღები მხარის ან ინგლისურ ენაზე. თარგმანთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

#### მუხლი 5

ორი მხარის იუსტიციის სამინისტროებმა, მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ამ შეთანხმების განხორციელებისა და თავიანთი მოქმედი კანონების თაობაზე.

#### თავი II

#### სამართლებრივი დახმარების ვალდებულება მუხლი 6

სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა ხდება სპეციალური სამართლებრივი მოქმედებების შესრულებით, კერძოდ: დოკუმენტთა გადაცემით, ძეხნით, დაკავებითა და მტკიცებულებათა გადაცემით, ექსპერტიზით, ბრალდებულ პირთა დაკითხვით, მოდავე მხარეების, მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვით, სასამართლო გამოძიებით.

#### მუხლი 7

1. წარეები, ექსტრადიციის პროცედურის დაურღვევლად, გადასცემენ ერთმანეთს სასამართლო დავალებას მეორე მხარის ტერიტორიაზე მოწმის დაკითხვის თაობაზე და სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებს, შესაბამისად თავიანთი იუსტიციის სამინისტროების მეშვეობით.

2. წინა პუნქტის დებულება არ გამოირიცხავს მხარეთა მიერ სასამართლო ან დამატებითი აქტების, პირდაპირ, დიპლომატიური, ან საკონსულო წარმომადგენლობების მეშვეობით თავიანთი მოქალაქეებისათვის გადაცემის შესაძლებლობას იმ პირობით, თუ ეს პირები თანხმობას აცხადებენ მათ მიღებაზე.

## მუხლი 8

მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- A) მომთხოვნი ორგანოს დასახელებას;
- B) მოთხოვნის ობიექტსა და მიზანს;
- C) შესაძლებლობის ფარგლებში, ცნობებს მოთხოვნილი პირის მისამართის, ვინაობის, მოქალაქეობის, პროფესის, საცხოვრებელი ან ადგილსამყოფელის შესახებ, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, — მათი დასახელების და ადგილის შესახებ;
- D) სადაც ეს შესაძლებელია, მოდავე მხარეთა წარმომადგენლების სახელებს და მისამართებს;
- E) აუცილებელ ელემენტებს, რომლებიც უკავშირდება მოთხოვნის ობიექტს, ჩვენების დამადასტურებელ გარემოებებს და სადაც ეს შესაძლებელია კითხვებს, რომლებიც შეიძლება დაესვას მოწმეებსა და ექსპერტებს.
- F) უფრო მეტიც, რამდენადაც არის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო დაგალება მეორე მხარის ტერიტორიაზე მოწმის დაკითხვის თაობაზე, აუცილებელია ბრალდებისა და ფაქტების მოკლე, ნათელი აღწერილობა.

## მუხლი 9

შემსრულებელი სასამართლო ორგანო ახორციელებს დოკუმენტების ჩაბარებას მის ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების დაცვით, ამასთან ერთად, წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დოკუმენტს თან უნდა ახლდეს დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანები.

## მუხლი 10

1. თუკი გადაცემულ დოკუმენტში მოწმის სახით გამოძახებული პირის მისამართი არასაკმარისად ან ნათლად არ არის მითითებული, შემსრულებელი ორგანო აზუსტებს ასეთ მისამართს, თუკი ეს შესაძლებელია.
2. თუკი შემსრულებელი ორგანო არაკომპეტენტურია მოთხოვნის შესასრულებლად, იგი გადასცემს მას კომპეტენტურ ორგანოს და აცნობებს ამის თაობაზე მომთხოვნ ორგანოს.

## მუხლი 11

1. სასამართლო დაგალებას, მეორე მხარის ტერიტორიაზე მოწმის დაკითხვის თაობაზე, შემსრულებელი ორგანო ასრულებს მის სახელმწიფოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად, მას შეუძლია ასევე, მოთხოვნი

მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს ამ უკანასკნელის სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმები, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან შემსრულებელი მხარის კანონმდებლობას.

2. მოთხოვნი ორგანოს მიერ გაკეთებული მოთხოვნის საფუძველზე, შემსრულებელი ორგანო დროულად აცნობებს პირველს მეორე მხარის ტერიტორიაზე მოწმის დაკითხვის შესახებ სასამართლო დაგალების შესრულების ადგილისა და დროის თაობაზე.

3. თქმი დოკუმენტის გადაცემის შესახებ დგება შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით.

### მუხლი 12

სამართლებრივ დახმარებაზე უარის შემთხვევაში შემსრულებელმა ორგანომ უნდა აცნობოს მომთხოვნ მხარეს ამის მიზეზის შესახებ და დაუბრუნოს მას მოთხოვნა და თანმხლები დოკუმენტები.

### მუხლი 13

1. იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება სასამართლო დაგალებას მეორე მხარის ტერიტორიაზე მოწმის დაკითხვის თაობაზე, არ ღდება მხარეებს შორის, ვარდა იმ ექსპერტთა ანაზღაურებისა და იმ სხვა ხარჯებისა, რომელიც გამოწვეულია ექსპერტიზის ჩატარებით ან პატიმართა გადაცემით.

2. ხარჯების რაოდენობისა და ხასიათის თაობაზე უნდა ეცნობოს მომთხოვნ ორგანოს.

### მუხლი 14.

1. სამართლებრივი დახმარება არ განხორციელდება თუ:

A) შემსრულებელი მხარე თვლის, რომ მოთხოვნის შესრულებამ შეიძლება შელახოს მისი სუვერენიტეტი, უშიშროება, საჯარო წესრიგი, ან სხვა ძირითადი ინტერესები;

B) მოთხოვნა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება:

(i) ეხება სამხედრო დანაშაულს,

(ii) თუ სახელმწიფო, რომელსაც მიმართეს დასახმარებლად, დანაშაულს მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულად.

2. სისხლის სამართლის საქმეში, სადაც მოთხოვნილი სამართლებრივი დახმარების შესრულება მოითხოვს ძებნასა და დაკავებას, სასამართლო დაგალებაში მითითებული დანაშაული უნდა იყოს დასჯადი ორივე ქვეყნის კანონმდებლობით.

თავი III.  
უფასო სამართლებრივი დახმარება,  
გადასახადის შემცირება  
და მათგან გათავისუფლება

## მუხლი 15

თითოეული მხარის მოქალაქები სარგებლობენ მეორე მხარის ტერიტორიაზე უფასო სამართლებრივი დახმარებით, თავისუფლდებიან ან შემცირებული აქვთ სამართლებრივი ხარჯები და საგერბო გადასახადების გადახდისას სარგებლობენ იმავე პირობებითა და ისეთივე უპირატესობებით, როგორითაც ამავე მხარის მოქალაქეები მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

## მუხლი 16

1. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შემოსენებულ ფინანსურ მდგომარეობას, გაიცემა იმ მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნულ პირს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.
2. თუკი აღნიშნული პირი მესამე ქვეყნის მოქალაქეა, შემთავალი აღნიშნული დოკუმენტი გაიცემა დიპლომატიური წარმომადგენლობის ან ტერიტორიული კომპეტენტური საკონსულთა დაწესებულების მიერ.

## მუხლი 17

სასამართლო ორგანო, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ და რომელიც ანიჭებს მე-15 მუხლში გათვალისწინებულ უპირატესობებს, თავისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს საკითხს და შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია იმ ქვეყნის ორგანოსაგან, რომლის მოქალაქეც არის აღნიშნული პირი.

## მუხლი 18

თუკი ერთი მხარის მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს მეორე მხარის ტერიტორიაზე, სურს მოითხოვოს იმ მხარის სასამართლო ორგანოს, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, მისთვის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უპირატესობების მინიჭება, მას შეუძლია წარუდგინოს ასეთი მოთხოვნა იმ ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლო ორგანოს, რომლის ტერიტორიაზეც იგი ცხოვრობს. იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც ორგანო განეკუთვნება.

თავი IV  
მოწმეებისა და ექსპერტების დაცვა

მუხლი 19

თუკი სასამართლოში გამოძახების შემდეგ, ნებისმიერი მოქალაქე წარდგება ომთხოვნი მხარის სასამართლო ორგანოების წინაშე, როგორც მოწმე და ექსპერტი, მაშინ იგი არ შეიძლება მიცემული იქნას ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში, იქნას დაკავებული ან პატიმრობაში აყვანილი, ან შეეზღუდოს პიროვნული თავისუფლება იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს იმ სასამართლო განხილვის საგანს, რომელზეც იგი იქნა გამოძახებული ან ნებისმიერ სხვა დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილი იქნა მის მიერ შემსრულებელი მხარის ტერიტორიის დატოვებამდე, ან მის მიერ ასეთ სასამართლო განხილვაზე ჩვენების მიცემისათვის.

მუხლი 20

1. მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხელშეუხებლობა წყდება, თუკი ექსპერტი ან მოწმე, მას შემდეგ რაც ჰქონდა საშუალება დაეტოვებინა მომთხოვნი მხარის ტერიტორია, ოცი (20) დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა სასამართლო ორგანოებმა აუხსნეს, რომ მისი ქვეყანაში ყოფნა აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას, არ დატოვებს მას ან დაბრუნდება ამ ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ. აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოწმემ ან ექსპერტმა არ დატოვა ომთხოვნი მხარის ტერიტორია მისი სურვილისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

2. მოწმეთა ან ექსპერტთა მგზავრობისა და საცხოვრებელ ხარჯებს აანაზღაურებს ომთხოვნი მხარე. ომთხოვნი მხარის საკონსულო დაწესებულებამ, მოწმის ან ექსპერტის მოთხოვნის საფუძველზე, წინასწარ უნდა აუნაზღაუროს მას მგზავრობის ხარჯები მთლიანად ან ნაწილობრივ.

თავი V  
სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების  
ცნობა და აღსრულება

მუხლი 21

თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე ცნოს და აღასრულოს შემდეგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამოცემულია მეორე მხარის ტერიტორიაზე და ექვემდებარება აღსრულებას ამ მხარის კანონმდებლობის საფუძველზე:

- A) სამოქალაქო საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებანი;  
 B) სისხლის სამართლის საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებანი, როცა საქმე ეხება ზარალის ანაზღაურებასა და ქონების რესტიტუციას.  
 C) დადგენილებები სამოქალაქო საქმეებზე.

### მუხლი 22

წინა მუხლში მოცემული სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელშიც უნდა მოხდეს ცნობა და აღსრულება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

A) თუ იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ამ მხარის სასამართლო ორგანოს გააჩნია საქმის განხილვის განსაკუთრებული კომპეტენცია.

B) თუ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არ ხელყოფს იმ მხარის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს ან საზოგადოებრივ წესრიგს, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

C) თუ იგივე მხარეებს შორის იმავე საქმესთან დაკავშირებით მანამდე არ იქნა გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება იმ მხარის სასამართლო ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

D) თუ მხარე, რომელმაც საქმე წააგო, არ გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოძახებული იყო სასამართლოს წინაშე წარსადგომად კომპეტენტური ორგანოს მიერ იმ მხარის ტერიტორიაზე მოქმედი პროცედურის შესაბამისად, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

### მუხლი 23

1. მოთხოვნა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ შეიძლება პირდაპირ გადაეცეს იმ მხარის კომპეტენტურ სასამართლო ორგანოს, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

2. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს:

A) სასამართლო გადაწყვეტილების ან სასამართლო წესით დარეგულირებული დამოწმებული ასლი, აგრეთვე, იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა, თუკი ასეთ დეტალებს არ შეიცავს თავად გადაწყვეტილება.

B) იმის დამადასტურებელი მოწმობა, რომ იმ მხარის კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ იმ სახელმწიფოში მოქმედი პროცედურის მიხედვით გაკეთებული სასამართლოში გამოცხადების მოთხოვნის მიუხედავად, რომლის

ტერიტორიაზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მხარე, რომელმაც წააგო საქმე, არ გამოცხადდა.

C) წინა აბზაცებში მოცემული დოკუმენტების თარგმანები, ისევე როგორც მოთხოვნის თარგმანი, თუკი ასეთი მოთხოვნა არ არის შედგენილი იმ მხარის ენაზე, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

3. ოფიციალური ასლი გაიცემა იმ მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს აღსრულება ამ მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით.

#### მუხლი 24

სასამართლო ორგანო, რომელიც მიიღებს მოთხოვნას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მხოლოდ დააზუსტებს დაკმაყოფილებულია თუ არა 22-ე მუხლში მოცემული ყველა პირობა. ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ეს ორგანო გააგრძელებს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას.

#### მუხლი 25

იმ მხარის ორგანომ, რომლის ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, აგრძელებენ აღსრულებას თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, თუკი ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### მუხლი 26

მხარის საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც პირის მოქალაქეობრივ სტატუსს ეხება, ძალაშია მეორე მხარის ტერიტორიაზე და მოქმედებს აღსრულების ყოველგვარი პროცედურის გარეშე.

#### მუხლი 27

თუ ერთ-ერთმა მხარემ, რომელიც გათავისუფლებულია, ამ შეთანხმების მე-2 მუხლის მიხედვით, საგარანტიო დავალების გადასახადისაგან, საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გადაიხადოს მეორე მხარის სასამართლო ხარჯები, ასეთი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, მოთხოვნის საფუძველზე, მეორე მხარის ტერიტორიაზე უფასოდ.

#### მუხლი 28

L თითოეული მხარე უნდა აღიარებდეს და აღასრულებდეს თავის ტერიტორიაზე საგარანტიო საქმეებზე გამოტანილ საარბიტრაჟო



გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოცემულია მეორე მხარის ტერიტორიაზე ნოუ-იორკის 1958 წლის 10 იანვრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციის მიხედვით.

2. ერთი მხარის ტერიტორიაზე გამოცემული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე აღიარებულ უნდა იქნეს და უნდა აღსრულდეს მეორე მხარის ტერიტორიაზე 22-ე და 23-ე მუხლების პირობების დაცვით იმდენად, რამდენადაც ეს პირობები შეიძლება გაგრცელდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.

### მუხლი 29

სასამართლო გადაწყვეტილებების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების და სასამართლო წესით საქმის მოგვარებაზე გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებების გამოყენება ხდება მხარეთა იმ კანონმდებლობებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც ეხება აღსრულებად მითითებულ ფულად გადარიცხვებსა და საქონლის (საგნების) გადაგზავნას (გადაცემას).

### თავი VI ექსტრადიცია

### მუხლი 30

შეთანხმების მონაწილე თითოეული მხარე წინამდებარე შეთანხმების დებულებათა შესაბამისად და საკუთარი შიდა კანონმდებლობის პროცედურული წესების გათვალისწინებით გადასცემს მეორე მხარის ნებისმიერ პირს, რომელიც იმყოფება შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე და რომელსაც ითხოვენ პასუხისგებაში მისაცემად სასჯელის გამოტანის ან აღსრულებისათვის შეთანხმების მონაწილე მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოები.

2. ექსტრადიცია ხორციელდება იმ დანაშაულისათვის, რომელიც შეთანხმების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობის საფუძველზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ვადით. თუ პატიმრობის ან საჯისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის განაჩენი შეფარდებულია შემსრულებელი მხარის სასამართლოების მიერ, ექსტრადიცია განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ვადა შეადგენს არანაკლებ 6 თვეს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა ეხება რამოდენიმე დანაშაულს, რომელთაგან თითოეული შეთანხმების მონაწილე ორი მხარის კანონმდებლობით დასჯადია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ აკმაყოფილებს სასჯელის ვადასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, შემსრულებელმა მხარემ შეთანხმების მონაწილე ორგანოს ექსტრადიცია ამ დანაშაულებისათვისაც.

## მუხლი 31

1. ექსტრადიცია არ განხორციელდება თუ:

A) პირი, რომლის გადაცემის თაობაზეც მიღებული მოთხოვნა, მოთხოვნის მიღების მომენტისათვის წარმოადგენს შემსრულებელი მხარის მოქალაქეს.

B) პირები შეთანხმების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

2. იმ შემთხვევაში თუ ექსტრადიცია არ ხორციელდება იმ მოტივით, რომ პირი წარმოადგენს შემსრულებელი მხარის მოქალაქეს, ეს მხარე მომთხოვნი მხარის მოთხოვნით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადასცემს საქმეს თავის კომპეტენტურ ორგანოებს გამოძიების განხორციელებისათვის. ამ მიზნით, საქმესთან დაკავშირებული მასალები, დოკუმენტები და ნივთმტკიცებები გადაეცემა შემსრულებელ მხარეს. ამ უკანასკნელმა მხარემ უნდა აცნობოს მომთხოვნ მხარეს მის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

## მუხლი 32

1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ:

A) დანაშაული, რომელიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს, შემსრულებელი მხარის მიერ მიიჩნევა პოლიტიკურ დანაშაულად ან ისეთ დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან.

B) დანაშაული, რომელიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს, წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს და არა ჩვეულებრივ ს/ს დანაშაულს.

C) პირი, რომლის გადაცემის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა, მსჯავრდებული ან გამართლებული იქნა შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე იმავე დანაშაულისათვის, რომელიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.

D) ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის გამო აკრძალულია ექსტრადიციის მოთხოვნაში აღნიშნული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნა ან მასზე გამოტანილი განაჩენის აღსრულება.

E) დანაშაული, რომელიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს, ჩადენილია მომთხოვნი მხარის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და შემსრულებელი მხარის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უცხოელის დასჯას მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის.

F) პირს, რომლის გადაცემის თაობაზეც გაგზავნილია მოთხოვნა, არ შეიძლება მსჯავრი დაედოს ამნისტიის გამო;

G) თუ დანაშაული, რომელიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს

წარმოადგენს, ნაწილობრივ ან მთლიანად ჩადენილია შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე;

2. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ეთქვას თუ:

A) პირის მიმართ, რომლის გადაცემის თაობაზეც გაგზავნილია მოთხოვნა, იმავე დანაშაულისათვის შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე აღძრულია ს/ს დევნა, ან შემსრულებელი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ შეაჩერონ ს/ს დევნა ან შეწყვიტონ იგი იმ მოტივით, რომ ამ დანაშაულისათვის ს/ს დევნა უკვე განხორციელებული იყო.

B) თითოეული მხარის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაული, რომელიც წარმოადგენს გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს, არის დანაშაული, რომლის გამოც სისხლის სამართლებრივი დევნა აღიძვრება მხოლოდ დაზარალებული პირის საჩივრის საფუძველზე (ჩივილიH).

C) პირის მიმართ, რომლის გადაცემის თაობაზეც გაგზავნილია მოთხოვნა, მესამე სახელმწიფოში წარმოებდა ~~სისხლის~~ სამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისა ან დანაშაულებისათვის, რომლებიც გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენენ და

i) იგი გამართლებული იქნა ან

ii) გამოტანილი განაჩენისათვის გაუქმებულ იქნა სასჯელი

iii) განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში, ან პირს შეეხო ამნისტია, ან შეწყალებული იქნა. რაც ეხება სრულად ან ნაწილობრივ მოხდილ სასჯელს.

3. თუ დანაშაულს, რომელიც გადაცემა თაობაზე მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს, მომთხოვნი მხარის კანონმდებლობით სასჯელის უმაღლესი ფორმა შეეფარდება, რასაც არ ითვალისწინებს შემსრულებელი მხარის კანონმდებლობა, გადაცემა შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მომთხოვნი მხარე იძლევა შემსრულებელი მხარისათვის დამაკმაყოფილებელ რწმუნებას, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა არ იქნება გამოყენებული.

### მუხლი 33

1. ექსტრადიცია შეიძლება გადადებული იქნას, თუ იმ პირის მიმართ, რომლის გადაცემის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა, აღძრულია საქმე ან შემსრულებელი მხარის სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილია განაჩენი. გადაგადების შემთხვევაში გადაცემა არ შეიძლება განხორციელდეს მანამდე, სანამ არ შეწყდება სასამართლო პროცესი, ან უკვე გამოტანილი განაჩენის შემთხვევაში არ იქნება მოხდილი სასჯელი.

2. იმ შემთხვევაში, თუ გადაგადება იწვევს სასჯელის მოხდის ხანდაზმულობის ვადის გასვლას, ან ქმნის დიდ სირთულეებს ფაქტების დადგენისას, შესაძლებელია განხორციელდეს დროებითი გადაცემა იმ პირობით, რომ გადაცემული პირი დაბრუნებული იქნება იმ პროცედურების დამთავრებისთანავე, რომლებიც გადაცემის საფუძველს წარმოადგენდა.

## მუხლი 34

ამ შეთანხმების მიხედვით, გადაცემული არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში, დაბატონებული, მსჯავრდებული ან დასჯილი იქნას მოთხოვნი მხარის ტერიტორიაზე იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს გადაცემის საფუძველს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

A) როდესაც არსებობს შემსრულებელის წინასწარი თანხმობა ამასთან დაკავშირებით;

B) როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა დაეტოვებინა მოთხოვნი მხარის ტერიტორია, არ დატოვა იგი მისი საბოლოო განთავსულებიდან 30 დღის განმავლობაში ან დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ. ამ პერიოდში არ შედის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაცემულ პირს არ ჰქონდა საშუალება დაეტოვებინა მოთხოვნი მხარის ტერიტორია მისი სურვილისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

2. თუ დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალა საქმის წარმოების პროცესში გადაცემული პირის მიმართ არ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლებრივი დევნა ან მიეცეს პასუხისგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცებულებანი, რომლებიც საფუძველად უდევს ახალ კვალიფიკაციას, იძლევა გადაცემის საშუალებას.

3. პირი, რომელიც გადაცემულია ამ შეთანხმების საფუძველზე, არ შეიძლება გადაეცეს მესამე სახელმწიფოს იმ დანაშაულებისათვის, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მის შემთხვევაში, შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე გარდა ამ მუხლის 1 პუნქტით ათავალისწინებულ შემთხვევებში.

## მუხლი 35

გადაცემის შესახებ მოთხოვნისა და მასზე პასუხის გადაცემა ხდება დიპლომატიური არხებით.

გადაცემასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი მასალის გადაცემა წარმოებს ამ შეთანხმების მე-3 მუხლის მიხედვით.

## მუხლი 36

1. მოთხოვნა გადაცემის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და თან უნდა დაერთოს შემდეგი თანმხლები დოკუმენტები:

A) ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, რომელიც შეიცავს ბრალდებას და მოსახდელი სასჯელის ან დაბატონების სანქციას ანდა სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელთაც ააჩნიათ იგივე ძალა და გამოცემულია მოთხოვნი მხარის მიერ;

B) ფაქტების ჩამონათვალი, რომლებიც გადაცემის მოთხოვნის საფუძველს

B) ფაქტების ჩამონათვალი, რომლებიც გადაცემის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენენ. დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო, მისი სამართლებრივი დახასიათება, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ტექსტები და აგრეთვე, შეძლებისდაგვარად ნათლად ჩამოყალიბებული ინფორმაცია სასჯელის მოსახდელი ნაწილის შესახებ;

C) შეძლებისდაგვარად ნათელი ინფორმაცია იმ პირის გინაობის, ადგილსამყოფელისა და მოქალაქეობის შესახებ, რომლის თაობაზეც ხდება გადაცემის მოთხოვნა.

2. თუკი მომთხოვნი მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი შემსრულებელი მხარისათვის საკითხის გადასაწყვეტად, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს საჭირო დამატებით ინფორმაციის მიწოდება.

მეორე მხარემ უნდა უპასუხოს ამ მოთხოვნას ორი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელებული იქნას ოცი დღით დასაბუთებული მიზეზების არსებობის შემთხვევაში. თუ მომთხოვნი მხარე არ მიაწვდის საჭირო დამატებით ინფორმაციას ზემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში, მაშინ შემსრულებელ მხარეს შეუძლია დაკავებული პირის განთავისუფლება.

### მუხლი 37

თუკი მომთხოვნი მხარე იქნა გადაცემის პროცედურული პირობები, მაშინ შემსრულებელი მხარე, გადაცემის შესახებ მოთხოვნის მიღების შემდეგ, საჭიროების გარეშე, იღებს ყველა აუცილებელ ზომას იმ პირის დასაბუთებლად, რომლის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა გადაცემის შესახებ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა არ შეიძლება მოხდეს ამ შეთანხმებიდან გამომდინარე.

### მუხლი 38

1. გადაუდებლ შემთხვევებში, მომთხოვნი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა შეიძლება მოითხოვონ იმ პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანა, რომლის გადაცემის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა. მიმართვა წინასწარ პატიმრობაში აყვანის თაობაზე უნდა შეიცავდეს 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის A) პუნქტში მოცემული დოკუმენტების არსებობის დადასტურებას, ისევე როგორც განცხადებას იმის თაობაზე, რომ ამას მოჰყვება მოთხოვნა გადაცემის შესახებ. მასში მოხსენებული უნდა იყოს ის დანაშაული, რომელიც გადაცემის შესახებ მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს, დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო, ისევე როგორც, შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირის აღწერილობა, რომლის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა გადაცემის შესახებ.

2. მოთხოვნა წინასწარ პატიმრობაში აყვანის შესახებ უნდა მიეწოდოს პირდაპირ შემსრულებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს ფოსტით, საკაბელო

საშუალებებით, ინტერპოლის მეშვეობით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით, რომლებიც წერილობითი შეტყობინების საშუალებას იძლევა. მომთხოვნ მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ.

3. წინასწარი პატიმრობა წყდება, თუკი შემსრულებელი მხარე არ მიიღებს მოთხოვნას გადაცემის შესახებ და 36-ე მუხლში მოცემულ დოკუმენტებს პირის პატიმრობაში აყვანიდან 30 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს 20 დღით მომთხოვნი მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, თუკი ჩაითვლება, რომ არსებობს ყველა საშუალება იმის გარანტირებისათვის, რომ აღნიშნული პირი არ დატოვებს ქვეყნის ფარგლებს.

4. განთავისუფლება არ გამორიცხავს შემდგომ პატიმრობაში აყვანას და გადაცემას, თუკი მოთხოვნა გადაცემის შესახებ შემდგომში იქნება მიღებული.

#### მუხლი 39

1. შემსრულებელი მხარე აცნობებს მომთხოვნ მხარეს გადაცემის თაობაზე, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლო ორგანოს მიერ სრული ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში, მომთხოვნ მხარეს უნდა ეცნობოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზის თაობაზე. თანხმობის შემთხვევაში, მხარე უნდა ეცნობოს იმ პირის გადაცემის დრო და ადგილი, რომლის თაობაზეც მიღებულია გადაცემის შესახებ მოთხოვნა, ისევე როგორც გადაცემის მიზნით მისი დაკავების ვადის შესახებ.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი, რომლის გადაცემაზეც არის მოთხოვნა, არ იქნება მიღებული მეორე მხარის მიერ დათქმულ დროსა და ადგილას, იგი შეიძლება გათავისუფლდეს ამ მომენტიდან 15 დღის ვასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, თუკი მიღებული იქნება გადაცემის თაობაზე შემდგომი მოთხოვნა, მას შეიძლება უარი ეთქვას.

3. გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც ხელს უშლის იმ პირის გადაცემასა და მიღებას, რომლის თაობაზეც მიღებულია მოთხოვნა გადაცემის შესახებ, დაინტერესებულმა მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. ორი მხარე შეიძლება შეთანხმდეს გადაცემის ახალ თარიღზე და შემდგომ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები.

#### მუხლი 40

რამოდენიმე სახელმწიფოს მხრიდან ერთი და იმავე ან სხვადასხვა დანაშაულზე გადაცემის თაობაზე მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, შემსრულებელი მხარე წყვეტს, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს პირი.

თუკი გადაცემული პირი თავს არიდებს, სისხლის სამართლებრივ დევნას, სასამართლოში გამოცხადებას ან სასჯელის მოხდას, ან ბრუნდება ომთხოვნი მხარის ტერიტორიაზე, შეიძლება მოხდეს მისი თავიდან გადაცემა.

ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის მნ-ე მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების თავიდან წარდგენა.

### მუხლი 42

1. ომთხოვნი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შემსრულებელმა მხარემ უნდა ამოიღოს და გადასცეს, რამდენიც ეს მისი კანონმდებლობითაა შესაძლებელი, ნებისმიერი საგანი, რომელიც:

A) შეიძლება გამოდგეს მტკიცებულებად;

B) მოპოვებულ იქნა დანაშაულებრივი გზით და იმ პირის მფლობელობაშია, რომლის გადაცემაზეც მოთხოვნა მისი დაკავების მომენტისათვის.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ნივთების გადაცემა ხორციელდება შეთანხმების საფუძველზე. ასეთი გადაცემა ხდება მაშინაც, როცა პირის გადაცემა, რომელზედაც მიღებულია მოთხოვნა გადაცემის შესახებ ვერ მოხერხდა მისი სიკვდილის ან გაქცევის გამო.

3. როცა აღნიშნული ნივთები ექვემდებარება ამოღებას ან კონფისკაციას მომთხოვნი მხარის ტერიტორიაზე, მხარეს შეუძლია, სისხლის სამართლებრივი დევნის წინსვლის მიზნით დააგვადოს ნივთების გადაცემა ან გადასცეს ისინი შემდგომი უკან დაბრუნების პირობით.

4. ნივთებზე შემსრულებელი მხარის ან მესამე მხარის უფლება ხელშეუხებელია. თუკი სახეზეა ასეთი უფლებანი, აღნიშნული ნივთები დაუყოვნებლივ და უფასოდ უბრუნდება შემსრულებელ მხარეს სასამართლო პროცესის დასრულებისთანავე.

### მუხლი 43

1. თითოეულმა მხარემ უნდა დართოს ნება, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მის ტერიტორიაზე პირთა ტრანზიტულ გადაყვანაზე, რომელიც ხორციელდება მესამე სახელმწიფოს მიერ აღნიშნული მხარის მიმართულებით. მოთხოვნა ტრანზიტით გადაყვანის შესახებ დგება და იგზავნება გადაცემის შესახებ მოთხოვნის გაკეთების წესთა დაცვით.

2. იმ პირთა ტრანზიტულ გადაყვანაზე, რომლებიც არ შეიძლება იქნენ გადაცემულნი, შეიძლება უარი ითქვას ამ შეთანხმების საფუძველზე.

3. თუ ტრანზიტის დროს გამოიყენება საჰაერო ტრანსპორტი დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

A) თუ არ არის უზრუნველყოფილი დაშვება, მომთხოვნი ქვეყანა აცნობებს

ამის თაობაზე იმ ქვეყანას, რომლის საჰაერო სივრცეშიც იმყოფება თვითმფრინავი და უდასტურებს, რომ მის ბორტზე არის ზოგიერთი იმ დოკუმენტთაგანი, რომლებიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების 36-ე მუხლის 1-ელ პუნქტში.

საავარიო დაშვებისას შემოთხსენებული შეტყობინება, ამ შეთანხმების 36-ე მუხლის თანახმად, ჩაითვლება წინასწარი დაკავების შესახებ მოთხოვნად, ხოლო მომთხოვნი ქვეყანა მას დაურთავს წერილობით თხოვნას ტრანზიტის შესახებ.

B) თუ დაშვება უზრუნველყოფილია, მომთხოვნი ქვეყანა გზავნის წერილობით თხოვნას ტრანზიტის შესახებ.

#### მუხლი 44

გადაცემის ხარჯებს აანაზღაურებს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიშვა ეს ხარჯები.  
სატრანზიტო გადაყვანის ხარჯებს კისრულობს მომთხოვნი მხარე.

#### მუხლი 45

მხარეები აცნობებენ ერთმანეთს გადაცემულ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ.

თუკი აღნიშნულ პირის მიმართ გამოტანილი იქნება საბოლოო განაჩენი, მისი ასლი უნდა იქნეს გადაგზავნილი მეორე მხარისათვის.

#### მუხლი 46

თითოეულმა მხარემ უნდა მიაწოდოს ერთმანეთს სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლო ორგანოების მიერ მეორე მხარის მოქალაქეთა მიმართ გამოტანილ საბოლოო განაჩენებს. ბრალდებულთა არსებული თითის ანაბეჭდები ერთდროულად უნდა იქნეს გადაცემული.

#### მუხლი 47

თითოეული მხარის გამბეჭტური ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, ინფორმაცია იმ პირთა შესახებ სისხლის სამართლებრივი ჩანაწერების თაობაზე, რომელთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან ხორციელდება დევნა ერთი მხარის ტერიტორიაზე, უნდა გადაეცეს მეორე მხარეს უფასოდ. ეს ინფორმაცია გადაიცემა ამ შეთანხმების მე-3 მუხლის მიხედვით.



თავი VII  
- დასკვნითი დებულებანი

მუხლი 48

1. ამ შეთანხმებით:

A) ტერმინი „სამოქალაქო საქმეები“ აგრეთვე მოიცავს საქმეებს, რომლებიც ეხება სავაჭრო და საოჯახო სამართლის, ისევე, როგორც პირთა ბიროვნულ-სტატუსს.

B) ტერმინი „სასამართლო ორგანო“ ან „სასამართლო“ გულისხმობს ორგანოს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება იცოდეს, მოაგვაროს ან განსაჯოს საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 49


1. შეთანხმება ძალაში შედის ამისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30-ე დღეს.

2. თითოეულ მხარეს შეუძლია ამ შეთანხმების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის მეორე მხარის შეტყობინების მიღებიდან 5 თვის შემდეგ.

რის დასტურადაც მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები ვაწერთ ხელს და გამოწმებთ ბეჭდით ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. თბილისში 1999 წლის 10 მაისს, ორ ეგზემპლარად ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენაზე, ამასთან ყველა ტექსტი აუთენტურია. განმარტებასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში გამოიყენება ტექსტი ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით



საბერძნეთის რესპუბლიკის სახელით

